საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-69. 69250975**
თარიღი:**07/04/2025**

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63 - მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში

1. განკარგულებით დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმიდან ამოღებული იქნეს შემდეგი ობიექტები:

ა) დენის წყლის გამათბობელი ერთი ცალი.

ბ) სოფელი საბეში მდებარე 36.07.35.002 ს/კ-ზე რეგისტრირებული შენობა-ნაგებობა (სადემონტაჟო), რადგან ქონების საპრივატიზაციოდ შეფასებული ღირებულების ხანდაზმულობის ვადის გამო საჭიროებს ახალ შეფასებას.

გ) ავტობუსი BOGDAN მოდელი A სახ.N WW 435PP. ავტობუსი საკუთრებაში აქვს გადაცემული მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას“.

დ) სოფელ ბორითში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე 36.03.41.024.01.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართი, განხორციელებული პრივატიზების გამო.

ე) სოფელ დიდვაკეში მდებარე 36.15.33.175 ს/კ-ით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მასზედ მდგარი 855.62 კვ.მ შენობა-ნაგებობით.

ვ) სოფელ მოლითში 36.17.34.450 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 150 კვ.მ არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, განხორციელებული პრივატიზების გამო.

ზ) დაბა ხარაგაულში 36.01.31.1986 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 80 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, განხორციელებული პრივატიზების გამო.

თ) დაბა ხარაგაულში 36.01.31.467 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 92 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, განხორციელებული პრივატიზების გამო.

2. საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმას დაემატოს:

ა) დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N8ბ-ს მიმდებარედ 36.01.31.1999 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 14 კვ.მ მიწის ნაკვეთი;

ბ) სოფელ ბჟინევში მდებარე 36.08.36.887 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 50 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მუხლი 2. დამტკიცდეს საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმა თანდართული დანართის მიხედვით.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი